

ენერგეტიკული უსაფრთხოება და  
ენერგეტიკული კავშირის  
პერსპექტივები საქართველოსთვის



World Experience for Georgia

მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის

2015

## სარჩევი

აბრევიატურები .....	2
შესავალი .....	3
ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების მთავარი საკითხები .....	5
ენერგეტიკული კავშირის სტრატეგია და საქართველოს ეროვნული ენერგეტიკული პოლიტიკა .....	15
დასკვნები .....	21
რეკომენდაციები.....	22

## აბრევიატურები

*SCP* - სამხრეთ კავკასიის გაზის მილსადენი

*BTC* - ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი

*WREP* - დასავლეთის მარშრუტის ნავთობსადენი

*NAPA* - ადაპტაციის ეროვნული სამოქმედო გეგმა

*DCFTA* - ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება

სემევი - საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია

# ენერგეტიკული უსაფრთხოება და ენერგეტიკული კავშირის პერსპექტივები საქართველოსთვის

*გიორგი მუხიგულიშვილი*

*მურმან მარგველაშვილი*

## შესავალი

ენერგეტიკული უსაფრთხოება ფუნდამენტურად აუცილებელი და მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების დაცვისათვის. წილისეული ენერგეტიკული რესურსების შიდა მარაგის სიმცირის გათვალისწინებით კი, საქართველოსთვის ენერგოუსაფრთხოება ორმაგად მნიშვნელოვანია. ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებასთან თანამშრომლობას შეუძლია მნიშვნელოვანი სარგებელი მოუტანოს ქვეყანას, განსაკუთრებით თუ ეს მოხდება ევროპული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის ჭრილში. საქართველოს, თავისი უპირატესი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების განმტკიცებაშიც.

საქართველო ისწრაფვის გახდეს ევროკავშირის სტრატეგიული პარტნიორი და შეასრულოს სატრანზიტო როლი კასპიის და ცენტრალური აზიის ენერგეტიკული რესურსების გატარებაში. სხვადასხვა ტრანსნაციონალური ენერგოპროექტის განხორციელება კი ხელს შეუწყობს ევროკავშირის ენერგომიწოდების დივერსიფიკაციას. პროექტებმა - სამხრეთ კავკასიის გაზის მილსადენი (SCP), ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი (BTC), დასავლეთის მარშრუტის ნავთობსადენი (WREP), ენერგომიწოდების დივერსიფიცირება და მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებელი მოუტანა საქართველოს.

საქართველო დემოკრატიული განვითარების და ევროპული ინტეგრაციის გზის ერთგულია. ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, ქვეყანამ ხელი მოაწერა ასოცირების ხელშეკრულებას, რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას და, შესაბამისად, - თანამშრომლობას ენერგეტიკის საკითხებზე. ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერების კუთხით, საქართველოს შეუძლია შეასრულოს ტრანსკავკასიური ენერგეტიკული ჰაბის როლი და გაატაროს კასპიის ზღვისა და ცენტრალური აზიის ნავთობისა და გაზის რესურსები ევროპისკენ. ასევე, შესაძლებელია, ერთიანი ელექტროგადამცემი

ქსელის შექმნა და შედეგად სუფთა ელექტროენერჯის ევროპელი მომხარებლებისთვის მიწოდება.

საქართველოს ასევე შეუძლია სარგებელი მიიღოს ევროკავშირის ახალი ინიციატივის-ენერგეტიკული კავშირის სტრატეგიიდან, რომელიც ჩამოყალიბდა ენერგორესურსების დივერსიფიცირების და ერთიანი ენერგეტიკული ბაზრის შექმნის მიზნით. ენერგოკავშირი არის გრძელვადიანი, ამბიციური სტრატეგია, ხედვა ევროკავშირის ენერგეტიკისა და კლიმატური პოლიტიკის კუთხით და ის დაფუძნებულია ენერგეტიკული უსაფრთხოების სტრატეგიაზე (2014).

მეორე მხრივ, საქართველო აუცილებლად საჭიროებს მოდერნიზებასა და მხარდაჭერასა რათა განიმტკიცოს თავისი, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის პოზიცია.

ენერგეტიკული უსაფრთხოება საქართველოსთვის ეროვნული ინტერესის სფეროს წარმოადგენს<sup>1</sup>. 2015 წლის ივნისში პარლამენტმა დაამტკიცა ენერგეტიკული პოლიტიკის ახალი დოკუმენტი, რომელშიც გამოიყო შემდეგი ძირითადი მიმართულებები: ენერგომიწოდების დივერსიფიკაცია და შიდა რესურსების ოპტიმალური მოხმარება; ევროპული ენერგეტიკული კანონმდებლობის და საბაზრო პრინციპების ეტაპობრივი დანერგვა; საქართველოს რეგიონალური სატრანზიტო როლის გაძლიერება და ა.შ. ენერგეტიკის სამინისტრო აგრძელებს ენერგეტიკული სტრატეგიის შემუშავებას, რათა შეასრულოს პოლიტიკის პრიორიტეტები.

საქართველოში ენერგეტიკული უსაფრთხოების კუთხით მთავარი პრობლემებია: 1) მზარდი მოთხოვნა ენერგეტიკული რესურსების იმპორტზე, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში და სტრატეგიული რეზერვების სიმცირე; 2) რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია, სადაც განთავსებულია სხვადასხვა სტრატეგიული ენერგეტიკული ობიექტი; 3) რუსეთის სახელმწიფო და კომერციული კომპანიების მიერ საქართველოში სტრატეგიული ენერგეტიკული აქტივების ფლობა; 4) არასაიმედო, მოძველებული ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა; 5) ეკონომიკური კრიზისი, რასაც სერიოზული გავლენა აქვს ენერჯის ფასზე; 6) ტერორიზმის გაზრდილი რისკი; 7) კლიმატის ცვლილება 8) ენერგეტიკული უსაფრთხოების სტრატეგიის არ ქონა.

ენერგეტიკული კავშირის სტრატეგია თავის თავში მოიცავს ენერგეტიკული რისკების შემცირების ღონისძიებებს წევრებისთვის და პარტნიორი ქვეყნებისთვის, ესენია: სოლიდარობა და ნდობა; მთლიანად ინტეგრირებული ევროპული ენერგეტიკული

<sup>1</sup> [National Security Concept of Georgia](#)

ბაზარი; განახლებადი ენერჯის წყაროების და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების განვითარება; კვლევების, ინოვაციებისა და კონკურენციის მხარდაჭერა.


ეს ნაშრომი გამოყოფს საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების ძირითად რისკებს, მათ გამომწვევ მიზეზებს და მოსალოდნელ შედეგებს. მომოიხილავს ქვეყნის გამოცდილებას და საუკეთესო პრაქტიკებს ენერგეტიკული უსაფრთხოების პრობლემების აღმოსაფხვრელად და აანალიზებს ენერგეტიკული კავშირის სტრატეგიას, რა საშუალებებს და პერსპექტივებს გვთავაზობს ენერგეტიკული უსაფრთხოების პრობლემების დასაძლევად, რა სინერგიები არსებობს სტრატეგიასა და საქართველოს ენერგეტიკულ პოლიტიკას შორის? დასასრულს, ნაშრომში მოხდება ძირითადი მიგნებების სინთეზირება რეკომენდაციების სახით პოლიტიკისებისათვის და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის ევროკავშირსა და საქართველოში.

## ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების მთავარი საკითხები

სახელმწიფოებრივი გადმოსახედიდან ენერგეტიკული უსაფრთხოების ძირითადი მიზანია ადეკვატური და საიმედო ენერგეტიკული წყაროების არსებობა ხელმისაწვდომ ფასად ქვეყნის ეროვნული ინტერესების და მიზნების გათვალისწინებით. საქართველოსთვის მთავარი ენერგეტიკული რისკები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

### 1) მზარდი დამოკიდებულება იმპორტზე

საქართველოს არ გააჩნია გაზის და ნავთობის მარაგები. შედეგად, ქვეყნის ენერგეტიკული მიწოდების 65% გარე რესურსებზე მოდის. გაზი - 37%; ნავთობპროდუქტები - 26%



სურ 1 - მთლიანი შიდა ენერგორესურსები - საქართველო 2013 (GEOSTAT)

შიდა რესურსების სიმწირე განაპირობებს საქართველოს ძლიერ დამოკიდებულებას ენერჯის იმპორტზე, რაც ქვეყანას ენერჯეტიკული ფასების გლობალური რყევების მიმართ დაუცველს ტოვებს, ზრდის საწვავის მიწოდებაში შეფერხებს და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ რისკებს. ევროკავშირის ენერჯეტიკული კანონმდებლობის მოთხოვნების მიუხედავად, საქართველოს არ გააჩნია სტრატეგიული გაზის რეზერვები. ნავთობპროდუქტებისგან განსხვავებით კი, გაზის მიწოდების შემდგომი დევერსიფიცირება აუცილებელია.

2006 წლამდე საქართველოსთვის გაზის ერთადერთი მომწოდებელი რუსეთი იყო. 2006 წლის ზამთარში რუსეთიდან გაზის მოწოდება შეიზღუდა, რამაც გამოწვია 2-კვირიანი ენერჯეტიკული კრიზისი ქვეყანაში და გაზის გასამშაგებელი ფასი წინა სამ წელთან შედარებით. მსგავსი შემთხვევების თავიდან არიდების მიზნით, საქართველო იძულებული გახდა მოეხდინა ენერჯეტიკული მიწოდების წყაროების დივერსიფიკაცია<sup>2</sup>.

ბოლო წლებში საქართველოს ენერჯეტიკული უსაფრთხოების მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. 2006 წლის ვითარებისგან განსხვავებით, შაჰდენიზის პროექტის დახმარებით, გაზის მეტი ოდენობა გახდა ხელმისაწვდომი SCP სატრანზიტო ღონისძიებებისა და აზერბაიჯანისგან პირდაპირი შესყიდვით. საქართველომ გრძელვადიანი ხელშეკრულება გააფორმა სოკართან, რომლისგანაც იღებს გაზს შეღავათიან ფასში და ასევე - დამატებით მოცულობებს საგანგებო

<sup>2</sup> Energy Security Georgian Perspective, WEG 2011

სიტუაციების დროს. საქართველოს გაზის მიწოდებაში რუსეთის წილი საგრძნობლად შემცირდა და შეადგენს მხოლოდ 10%-ს, რომელიც სომხეთისთვის ტრანზიტის საფასურიდან გამომდინარეობს.

დღეს საქართველო ისევ დიდწილად არის დამოკიდებული მხოლოდ ერთ მომწოდებელზე - აზერბაიჯანზე. ეს გარე დამოკიდებულება განსაკუთრებით მძიმდება ზამთრის პერიოდში, როდესაც მოთხოვნა იმპორტულ გაზზე იზრდება. გაზის და ნავთობის რეზერვების არქონა საგრძნობლად ზრდის დამოკიდებულების რისკებს. ეს რისკები ასევე მოქმედებს ევროპულ ინტეგრაციაზე, რადგან ენერგეტიკული გაერთიანებაში გაწევრებისთვის რეზერვების ქონა აუცილებელია.

რუსეთიდან გაზის იმპორტზე დამოკიდებულება, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში, ძალიან რთულ ვითარებაში აყენებდა და აყენებს უკრაინას, მითუმეტეს როდესაც რუსეთი ამ ბერკეტს პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებს. საქართველომ სწორი ნაბიჯები გადადგა რუსეთზე დამოკიდებულების შემცირებით, მაგრამ ენერგეტიკული წყაროების შემდგომი დივერსიფიკაცია აუცილებელია ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის. გაზის მოხმარების ზრდა მომავალში კიდევ უფრო გაზრდის იმპორტზე დამოკიდებულებას. მიუხედავად აზერბაიჯანთან სტრატეგიული პარტნიორობისა, მხოლოდ ერთ მომწოდებელზე დამოკიდებულება მაინც სერიოზულ რისკებს შეიცავს ქვეყნისათვის.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს გააჩნია ჰიდრორესურსების უდიდესი პოტენციალი. სწორი მოხმარების შემთვევაში ქვეყანას თავისუფლად შეუძია მიაწოდოს ელექტროენერგია მეზობელ ქვეყნებს და, ასევე, მოახდინოს ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებშიც. აღსანიშნავია, რომ ჰიდრორესურსის სეზონურობის გათვალისწინებით, საქართველო ზამთრის პერიოდში ახდენს ელექტროენერჯის იმპორტს რუსეთიდან. დამოკიდებულების აღმოსაფხრელად ქვეყანას სჭირდება გაზზე მომუშავე თბოელექტროსადგურები.

იმპორტირებულ გაზსა და ნავთობპროდუქტებზე ძლიერი დამოკიდებულება და ჰიდრორესურსების სეზონურობა წარმოადგენენ საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების მნიშვნელოვან საფრთხეებს. ამ საფრთხეებთან გასამკლავებლად აუცილებელია შიდა ენერგეტიკული რესურსების განვითარება, გაზისა და ნავთობის რეზერვების შექმნა, ენერგოეფექტურობის გაზრდა, მიწოდების წყაროების დივერსიფიცირება და გზების ძიება რეგიონში მეტი პოლიტიკური სტაბილურობისთვის.



2) რუსული ოკუპაციის შედეგად წარმოქმნილი საფრთხე კრიტიკულ ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მოყოლებული რუსეთი ღია კონფრონტაციულ მდგომარეობაშია საქართველოსთან. ამის ერთერთი მთავარი მიზეზია საქართველოს დამოუკიდებლობა და ევროპული და ევროატლანტიკური კურსი. ამ ყველაფერმა საქართველოს მოუტანა რუსეთის მიერ ტერიტორიების ოკუპაცია, ეკონომიკური და ენერგეტიკური ბლოკადა, ინფორმაციული პროპაგანდა და ბოლო პერიოდში რუსეთის რბილი ძალის გაძლიერება. დღეს საქართველოს ტერიტორიის 20% ოკუპირებულია რუსეთის მიერ, ამ ტერიტორიაზე კი მოქცეულია სხვადასხვა სტრატეგიული ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა.

2008 წლის ომის დროს რუსეთმა მიზნობრივად დაბომბა მთავარი სატრანზიტო მილსადენების მიმდებარე ტერიტორია, რითაც დაამტკიცა, რომ თავისუფლად შეუძლია მილსადენების განადგურება.

ენერგეტიკული უსაფრთხოების მნიშვნელოვანი საკითხი უკავშირდება ენგურის ჰიდროელექტროსადგურს. საქართველო ელექტროენერჯის მიწოდების 40% ენგურჰესზე მოდის. ენგურჰესის კაშხალი საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზეა, ხოლო ელექტროსადგური ადმინისტრაციული საზღვრის აფხაზურ მხარეს მდებარეობს. ქართული მხარე ოპერირებას უწყევს სადგურს, ხოლო აფხაზური მხარე იღებს მიღებული ელექტროენერჯის 40%-ს, ოპერირების და სარემონტო სამუშაოების ხარჯებში მონაწილეობის გარეშე. პოლიტიკური დამაბულობის გადრმავეების შემთხვევაში, რუსეთს შეუძლია მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნას საქართველოს ენერჯო მიწოდებას. ინტერ-რაოსთან არსებობს არასაჯარო შეთანხმება გამომუშავებული ენერჯის და ერთიანი ოპერირების შესახებ, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს შეთანხმება საქართველოს დაიცავს მხარეებს შორის უთანხმოების შემთხვევაში. ცოტა ხნის წინ ენგურის კაშხალი საქართველოს ხლისუფლებამ ეროვნული კულტურული ემკვიდრეობის ნუსხაში შეიყვანა, რაც ერთმნიშვნელოვნად პოზიტიური მოვლენაა და ხაზს უსვამს ქართული მხარის პოზიციას ენგურჰესთან დაკავშირებით, თუმცა ეს არ გამორიცხავს შესაძლო დაპირისპირებას ქართულ და აფხაზურ მხარეს შორის ენგურჰესის ოპერირებაზე.

რუსეთი აგრძელებს „მცოცავ ოკუპაციას“ საქართველოს ტერიტორიაზე, 2015 წლის ათ ივლისს რუსულმა მხარემ კიდევ უფრო ახლოს გადმოწია საზღვარი თბილისი-გორის გზატკეცილთან ახლოს, რის შედეგადაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოექცა ბაქო-სუფსის მილსადენის 1.4 კილომეტრიანი მონაკვეთი. ასევე ამ ტერიტორიის მახლობლად არის „ლიახვისა“ და „ქართლი-2“-ის მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზები.

ზემოთ ხსენებული რისკები საფრთხეს უქმნის ქვეყნის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას და საჭიროებს შესაბამის ღონისძიებებს, რომლებიც მოიცავს საგანგებო სიტუაციების სამოქმედო გეგმებს, საერთაშორისო მხარდაჭერის გაზრდას და სხვა თავდაცვითი ნაბიჯების გადადგმას.

### 3) რუსული სახელმწიფო და კომერციული კომპანიების მიერ საქართველოს სტრატეგიული ენერგეტიკული აქტივების ფლობა

რუსული კომპანიები ფლობენ მთავარ ენერგეტიკულ აქტივებს საქართველოში რაც რბილი ძალის გამოყენების საშუალებაა და ზრდის მის გავლენას. ეს საკითხი მნიშვნელოვან საფრთხეებს ქმნის ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის, მით უმეტეს, როდესაც ამას ხელს არ უშლის არსებული კანონმდებლობა და ასევე „ნაცრისფერი არეები“, როდესაც სხვადასხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია კონტროლის გარეშე.

ყველაზე დიდი მოთამაშე საქართველოს ენერგეტიკულ ბაზარზე „ინტერ რაო“ მჭიდროდ არის დაკავშირებული რუსეთის ხელისუფლებასთან<sup>3</sup>. საქართველოში „ინტერ რაოს“ ეკუთვნის ენერგეტიკის გამანაწილებელი კომპანია სს „თელასის“ 75%, თბოსადგური შპს „მტკვარი ენერგეტიკა“ (300 მეგავატი დადგმული სიმძლავრე) და მსხვილი ჰიდროელექტროსადგურები - „ხრამჭესი 1“ და „ხრამჭესი 2“. მასვე მართვაში აქვს გადაცემული კავკასიაში ყველაზე მძლავრი ელექტროსადგური „ენგურჰესი“ (1300 მეგავატი).

საქართველოს ენერგეტიკულ სექტორზე რუსული გავლენა ბიზნესის გარემოს კუთხით ხშირ შემთხვევაში უარყოფით გავლენას ახდენს ინვესტორებზე. საქართველოს დღევანდელ პირობებში არ აქვს მკვეთრი პოზიცია რუსეთის მიმართ, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ასოცირების გზაზე საქართველო ცდილობს კავშირები შეინარჩუნოს რუსულ ბიზნეს-ელიტებთან რომელთა განცალკევება რუსეთის ხელისუფლებასგან ძალიან რთულია. საქართველოს ოფიციალური პოზიციით, ის ვერ ხედავს საფრთხეს რუსი ინვესტორებისთვის ენერგეტიკული აქტივების პრივატიზებაში. რა თქმა უნდა, რუსეთიც არ დათმობს მის ბერკეტებს ამ კუთხით და შეეცდება პოლიტიკური გავლენის და ეკონომიკური ურთიერთობის (რუსეთიდან წამოსული ფულადი გზავნილები ქვეყნის მშპ-ს დიდ წილს შეადგენს)

<sup>3</sup> [Russian Capital in Georgian Business](#), IDFI 2015

გამოყენებას საქართველოს ევროინტეგრაციისთვის, ენერგორესურსების, ტრანზიტისთვის და ევროპაში ექსპორტისთვის ხელის შესაშლელად.

მიუხედავ იმისა, რომ სხვადასხვა ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის რუსული მენეჯმენტის პირობებში აშკარა ნეგატიური ფაქტები არ დაფიქსირებულა, სახეზეა ინვესტიციების სიმცირე და შეუსრულებელი ვალდებულებები. „ნაცრისფერი არეების“ არსებობა ქმნის არაკანონიერი შეთანხმებების შესაძლებლობას ქართველ მაღალჩინოსნებთან, რაც პირდაპირ გავლენას იქონიებს ქვეყნის შიდა და გარე კურსზე.

ინტერ-რასო ჩართულობა საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში და დადებული მერონადუმები სახელწიფოსთან ქმნის ვერტიკალურად ინტეგრირებულ ვალდებულებებს, რაც ეწინააღმდეგება ევროკავშირის ენერგეტიკულ კანონმდებლობას და, შესაბამისად, ქმნის რისკებს ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე. საქართველოს მოუწევს მნიშვნელოვანი რეფორმების გატარება თუ მას სურს ენერგეტიკული გაერთიანების კანონმდებლობასთან დაახლოება

არსებული ვითარების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რუსულ კომპანიებს შეეზღუდოს გავლენის გავრცელება საქართველოს ენერგეტიკულ აქტივებზე. ვიდრე ქვეყანაში არ ჩამოყალიბდება გამჭვირვალე, დამოუკიდებელი და სწორი მმართველობის პირობები.

#### 4) ახალი ტექნოლოგიების საჭიროება

მიწოდების უსაფრთხოება გულისხმობს არა მარტო მთავარი მომწოდებლების კომერციული თუ პოლიტიკური ინტერესების გამო წარმოქნილ რისკებს, არამედ - ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურაში ტექნიკური შეფერხებების, ხარვეზების რისკებსაც. საქართველოს ძირითადი ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა საბჭოთა კავშირის დროს არის აშენებული, შესაბამისად, მათი უდიდესი წილი განახლებას საჭიროებს. გაზისა და ელექტროენერჯის დისტრიბუციის ქსელებში დანაკარგები კვლავ დიდია, განსაკუთრებით- რეგიონებში.

ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია აუცილებელია ქვეყანაში კონკურენტული, რეგიონალური ენერგეტიკული ბაზრის გასანვითარებისა და ევროკავშირის ენერგეტიკული კანონმდებლობის ჰარმონიზაციისთვის. საჭიროა თანამედროვე და ეფექტური ტექნოლოგიები რათა მოთხოვნა-მიწოდებაში მეტი კონკურენცია შეიქმნას.

დღეს არსებული მდგომარეობით, შენდება პირველი ქარის ტურბინა, ასევე აშენდა პირველი თერმული ელექტროსადგური, მაგრამ განახლებადი ენერჯის

ტექნოლოგიები, ენერგოეფექტური მშენებლობა და სხვა ენერგოეფექტური ღონისძიებები ჯერ კიდევ განუვითარებელია.

საქართველოს ეკონომიკაში მაღალია ენერგონტენსივობა. საქონლისა და სერვისების საწარმოებლად საქართველოში საჭიროა 2-2.5-ჯერ მეტი ენერგია ვიდრე დასავლურ ქვეყნებში. ნავარაუდევია, რომ ენერგეფექტური ღონისძიებების გატარების შედეგად შესაძლებელია 20%-ით დავზოგოთ ენერგია და ეს მოხდება მინიმალური დანახარჯებით. ეს კი საქართველოს მისცემს საშუალება შეამციროს მოთხოვნა პიკურ პერიოდში და, შესაბამისად, გააძლიეროს ენერგეტიკული უსაფრთხოება.

2015 წლის აპრილში, ენერგეტიკის სამინისტრომ, ზემოთ ხსენებულ პრობლემებთან გასამკლავებლად, დაამტკიცა განვითარების 10-წლიანი გეგმა 2015-2025<sup>4</sup>. გეგმა ძირითადად ფოკუსირებულია ელექტროენერჯის გადაცემის სექტორზე, დაგეგმილია 11 მსხვილმასშტაბიანი პროექტის განხორციელება, რომ გაუმჯობესდეს გადამცემი ქსელი და უფრო მეტად დაუკავშირდეს მეზობელ ქვეყნებს.

#### 5) ეკონომიკური კრიზისი და ეროვნული ვალუტის გაუფასურება

ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელიც დაკავშირებული იყო დოლარის გამყარებასთან, დიდი გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზე. სხვადასხვა გარე და შდა ფაქტორის ზემოქმედების შედეგად, ქართული ლარი დოლართან მიმართებით 40%-ით გაუფასურდა. ამან დიდი გავლენა იქონია ენერგორესურსების ხელმისაწვდომობაზე ქართველი მომხმარებლებისთვის. ენერგორესურსებზე ზრდადი მოთხოვნის გამო ბოლო წლებში გაიზარდა მოთხოვნა ელექტროენერჯისა და გაზზე ზამთრის თვეებში. იმპორტულ ენერგორესურსებზე ტრანზაქცია ხორციელდება დოლარში, შესაბამისად, იმპორტული რესურსების ფასიც 40%-ით გაიზარდა

გაზის მიწოდების ტარიფი დერეგულირებულია კომერციული მომხმარებლებისთვის, შესაბამისად, მომწოდებელმა კომპანიებმა გაზარდეს ტარიფი 20%-ით. ზაფხულში კომპანიებმა მიმართეს სემეკს საყოფაცხოვრებო ტარიფის გაზრდაზე და, შედეგად, ტარიფები საშუალოდ 30%-ით გაიზარდა „თელასისა“ და „ენერგო-პრო“-ს მომხმარებლებისთვის.

საქართველოს ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრების შემთხვევაში, ქვეყანა ნაკლებად მოწყვლადი იქნება მსგავსი შოკების მიმართ. ევროპული კანონმდებლობაში გაწერილია სხვადასხვა სიტუაციებში რისკების შემცირების მექანიზმები, როგორცაა

<sup>4</sup> [Ten Year Network Development Plan of Georgia 2015-2025](#), GSE 2015.

ენერგორეზერვების შექმნა, კონკურენტული ბაზრის ჩამოყალიბება და კოორდინირებული პოლიტიკის გატარება მოკლევადიანი, საშუალო და გრძელვადიანი შოკების აღმოსაფხვრელად.

#### 6) კრიტიკული ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის საფრთხეები

ტერორიზმი ძალიან დიდ საფრთხეს წარმოადგენს ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის, ცნობილია, რომ ტერორისტული ჯგუფები ხშირად აფეთქებენ მილსადენებს და მსგავსი პრეცედენტები განსაკუთრებით გაიზარდა ბოლო წლების განმავლობაში.

2008 წლის 5 აგვისტოს თავდასხმა განხორციელდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენზე, რის გამოც 14 დღის განმავლობაში ნავთობის გადინება შეწყდა, მილსადენი დღეში 900,000 ბარელ ნავთობს ატარებდა. ფინანსურმა ზარალმა 1 მილიარდი დოლარი შეადგინა<sup>5</sup>. 2014 წლის დეკემბერში, 7-წლიანი გამოძიების შემდეგ ბლუმბერგმა გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომ მილსადენს თავს დაესხნენ არა ქურთი ტერორისტები ხელთნაკეთი ბომბით, არამედ - ჰაკერები რუსეთის სპეციალური სამსახურების მხარდაჭერით, რომლებიც იყენებდნენ ულტრა-თანამედროვე კომპიუტერულ ტექნოლოგიას<sup>6</sup>.

2015 წლის აგვისტოში აფეთქდა ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენი. აფეთქება მოხდა თურქეთში ჩრდილო-დასვლეთ პროვინცია ყარსში. თურქეთის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა დაადასტურა რომ აფეთქება ტერორისტული შეტევის შედეგი იყო<sup>7</sup>.

ენერგორესურსების მიწდობის უსაფრთხოების რისკები სირიაში, თურქეთის საზღვართან ტერორისტული ჯგუფების რიცხვის ზრდასთან ერთად უფროდაუფრო იზრდება. ევროკავშირთან, აშშ-სათან და მეზობელ ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად, საქართველომ ყველა ღონე უნდა იხმაროს ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მსგავსი შეტევებისგან დასაცავად.

#### 7) კლიმატის ცვლილება როგორც ენერგეტიკული უსაფრთხოების გამოწვევა

<sup>5</sup> U.S. Department of Energy, Energy Assurance Daily, August 8

<sup>6</sup> [“Baku-Tbilisi-Ceyhan was blown up Not by Kurdish Bomb But by Russian Laptop” Georgian Journal, 18 December 2014](#)

<sup>7</sup> [South Caucasus Pipeline explosion poses no threat to Georgia, says officials. Agenda. Ge, 4 August 2015](#)

საქართველოში კლიმატის ცვლილების მაგალითებია - გაზრდილი მოთხოვნა ენერჯიაზე, არაპროგნოზირებადი გენერაცია განახლებადი ენერჯიის წყაროებიდან და გაზრდილი ბუნებრივი კატასტროფების შედეგად დაზიანებული ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა.

ჰიდრო-დომინანტური ქვეყნისთვის კლიმატის ცვლილება ენერგეტიკული უსაფრთხოების ერთერთი მთავარი რისკია. ჰიდროსაგურებიდან ელექტროენერჯიის გენერაცია დიდწილად დამოკიდებულია ნალექების წლიურ რაოდენობაზე და მცინვარების მოცულობაზე. კლიმატის ცვლილების შედეგად მცინვარები იკლებს, ასევე აღსანიშნავია რომ, ბუნებრივი კატასტროფების რიცხვი 50-ჯერ გაიზარდა 1900 წელთან შედარებით. 2014 წელს დევდორაკის მცინვარის კატასტროფა გამოიწვია ძლიერმა წვიმამ და მეწყერმა, რის შედეგადაც დიდი ზიანი მიაღდა მშენებარე ჰესს და იქ მომუშავე პერსონალს. მცხეთა-მთიანეთი-ლარსის გზის დაზიანების შედეგად დროებით შეწყდა გაზის ტრანზიტი, რომელიც რუსეთიდან სომხეთს მიეწოდებოდა.

კლიმატის ცვლილება სამხრეთ კავკასიაში ტრანსნაციონალური გამოწვევაა. აუცილებელია რეგიონული თანამშრომლობა: ტრანსსასაზღვრო მდინარეების მენეჯმენტის გეგმის ჩამოყალიბება; კლიმატური და მეტეოროლოგიური მონაცემების გაცვლა; ადრეული შეტყობინების სისტემების განვითარება და სეზონური პროგნოზირება; კლიმატური ცვლილების ადაპტირების პროექტების გამოცდილებების გაზიარება, როგორცაა წყლის კონსერვაცია, ბუნებრივი კატასტროფების მენეჯმენტი და ა.შ. ეს ნაბიჯები მნიშვნელოვანია რეგიონში კლიმატური ცვლილების მიმართ სწორი დაგეგმვის, ადაპტაციისა და მოქმედებისთვის.

აღსანიშნავია საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების 307-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც „მხარეებმა უნდა განავითარონ და გააძლიერონ თანამშრომლობა კლიმატის ცვლილებასთან გასამკლავებლად. თანამშრომლობა უნდა განხორციელდეს ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით და თანასწორობის და ორმხრივი სარგებლის მიღების პრინციპებზე დაყრდნობით“. ასოცირების შეთანხმებით საქართველომ უნდა მოამზადოს ადაპტაციის ეროვნული სამოქმედო გეგმა (NAPA): ამავე დროს საქართველოს გააჩნია პოტენციალი, რომ საგრძნობლად შეამციროს CO<sub>2</sub>-ის გაფრქვევები, განახლებადი წყაროების განვითარებით, ეს ეხება განსაკუთრებით ჰიდროენერჯიას.

8) ენერგეტიკული უსაფრთხოების სტრატეგიის არ არსებობა

ზემოთ ხსენებული გამოწვევების და საფრთხეების მიუხედავად, საქართველოს არ გააჩნია რაიმე სერიოზული საკანონმდებლო აქტი ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე. არ არსებობს ენერგეტიკული სტრატეგია, რომელიც გამოყოფდა არსებულ საფრთხეებს და მათი გადაჭრის ღონისძიებებს. დოკუმენტის არ ქონა ასევე ართულებს სექტორის SWOT ანალიზს და, შესაბამისად, სწორი პოლიტიკის გატარებას.

აღსანიშნავია კითხვები, რომლებიც ჩნდება მმართველი რგოლის კვალიფიკაციის შესახებაც, რაც ენერგეტიკული უსაფრთხოების დამატებით რისკებს წარმოშობს, მით უმეტეს, როდესაც სახეზეა კანონმდებლობის დაბალი ხარისხი და ეფექტური რეგულაციების სიმცირე, რაც გადაწყვეტილებების მიმღებებს მისცემდა სწორი მოქმედების საშუალებას კრიტიკულ სიტუაციებში.

2015 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი ენერგეტიკული პოლიტიკის დოკუმენტი “საქართველოს ენერგეტიკული სექტორის სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი მიმართულებები“. ეროვნული ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები შემდეგია:

1. მიწოდების წყაროების დივერსიფიკაცია, ადგილობრივი წყაროებისა და მარაგების ოპტიმალური უტილიზაცია.
2. ადგილობრივი განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენება.
3. საქართველოს კანონმდებლობისა და მარგულირებელი დოკუმენტაციის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება.
4. ენერგეტიკული ბაზრის განვითარება და ენერგეტიკული ვაჭრობის მექანიზმის დახვეწა.
5. საქართველოს, როგორც სატრანტიტო ქვეყნის, როლის გაძლიერება რეგიონში.
6. საქართველო - რეგინული პლატფორმა სუფთა ენერჯის გენერირებისა და ვაჭრობისათვის.
7. ენერგოეფექტურობისადმი ინტეგრირებული მიდგომის შემუშავება და განხორციელება.
8. ენერგეტიკული პროექტების განხორციელებისას გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინება.
9. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და მომხმარებელთა ინტერესების დაცვა.

საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობა მკაფიოდაა დეკლარირებული ენერგეტიკული პოლიტიკი დოკუმენტში „იმისათვის, რომ მოხდეს პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავება, სახელმწიფოს პოლიტიკის ძირითადი მიმართულებაა საქართველოს ენერგეტიკული სექტორის კანონმდებლობის

ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან. აღნიშნული პროცესი ხელს შეუწყობს: კონკურენტუნარიანი, გამჭვირვალე და ეფექტური ენერგეტიკული ბაზის მოდელის ჩამოყალიბებას და მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნას, ისევე როგორც საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის ენერგეტიკული ვაჭრობის განვითარებას და ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენებას“.

თუმცა აღნიშნული პრიორიტეტების განხორციელებას შესაბამისი სტრატეგიები ესაჭიროება.

## ენერგეტიკული კავშირის სტრატეგია და საქართველოს ეროვნული ენერგეტიკული პოლიტიკა

ენერგეტიკული კავშირის სტრატეგია, რომელიც 2015 წლის თებერვალში მიიღო ევროკომისიამ, მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ ევროკავშირის ენერგეტიკული უსაფრთხოება მჭიდროდაა დაკავშირებული მეზობელ ქვეყნებთან და რომ სოლიდარობა ამ სტრატეგიის ამოსავალი დებულებაა. ენერგეტიკული კავშირის ძირითადი მიზნები საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის პრიორიტეტების შესაბამისია:

1) ენერგეტიკული წყაროების, მიმწოდებლებისა და მარშრუტების დივერსიფიკაცია.

რუსეთის მიერ ენერგეტიკული საკითხების პოლიტიკური ვაჭრობის საგნად გამოყენებამ მკაფიოდ გაუსვა ხაზი ევროპულ ქვეყნებში ენერგეტიკული დივერსიფიკაციის საჭიროებას. რუსეთზე დამოკიდებულების თავიდან ასაცილებლად, ევროკავშირი გეგმავს მოიძიოს გაზის სხვა მომწოდებლები თურქმენეთსა და აზერბაიჯანში და ასევე განახორციელოს გათხევადებული ბუნებრივი გაზის (LNG) იმპორტი ამერიკიდან. სამხრეთის გაზის კორიდორი ევროკავშირისათვის პრიორიტეტული საერთო ინტერესის პროექტია (PCIs), რომელიც გაზის მიწოდებისა და მარშრუტების დივერსიფიკაციის გარანტიას იძლევა.

სამხრეთის გაზის კორიდორი მნიშვნელოვანი სარგებლის მომტანი შეიძლება იყოს საქართველოსთვისაც. საქართველოსთვის სიკეთის მომტანი იქნება ახალი



ინფრასტრუქტურული პროექტები და საერთაშორისო მილსადენები, რომელთა მშენებლობაც ევროკავშირის მიწოდების წყაროების დივერსიფიკაციას მოჰყვება.

ენერგეტიკული პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, საქართველო მნიშვნელოვანი სატრანზიტო ქვეყანაა, რომელიც გეგმავს განამტკიცოს თავისი როლი აღმოსავლეთ-დასავლეთის და ჩრდილოეთ-სამხრეთის სატრანზიტო კორიდორის განხორციელების საკითხში. გეოპოლიტიკური მდებარეობის ეფექტური გამოყენება ხელს შეუწყობს ქვეყნის ენერგეტიკულ დამოუკიდებლობასა და ეკონომიკურ განვითარებას დამატებითი ენერჯის წყაროების ხელმისაწვდომობის ზრდისა და საერთაშორისო მოთამაშეების პოლიტიკური ინტერესების მოზიდვის გზით. ეს კი განამტკიცებს ქვეყნის გამძლეობას გარე და შიდა გავლენებისადმი. ამ მიზნების მიღწევა მოითხოვს საქართველომ თავისი წვლილი შეიტანოს გამჭვირვალე და კონკურენტუნარიანი, ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისი ბაზრებისა და რეგულაციების დანერგვაში.

## 2) ერთობლივი მუშაობა მიწოდების უსაფრთხოებაზე

საერთო კრიზისების მენეჯმენტის დანერგვით, კომისია წარმოადგენს პრევენციულ და გადაუდებელი სიტუაციების მართვის გეგმებს ევროკავშირის დონეზე, ეს ეხებათ ენერგეტიკული გაერთიანების კონტრაქტორ მხარეებსაც. ენერგეტიკული კავშირის სტრატეგიის ერთერთი ძირითადი მიზანია წევრ ქვეყნებს შორის სოლიდარობის გაძლიერება განსაკუთრებით ენერჯის მიწოდების კრიზისის დროს.

საქართველოს არ აქვს პირდაპირი სახმელეთო საზღვარი ენერგეტიკული გაერთიანების და ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან, თუმცა თურქეთი ცდილობს თავისი ენერგეტიკული სისტემის ჰარმონიზაციას და ინტეგრირებას ევროპულ სისტემასთან, რასაც შეიძლება დადებითი გავლენა ჰქონდეს საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების პრობლემებზე.

საქართველო არ არის პირდაპირ დაკავშირებული ევროპის ენერგეტიკულ ბაზართან, თუმცა არსებობს ახალი კავშირების დამყარება შესაძლებლობა საქართველოსა და ევროკავშირის შორის, სამხრეთის გაზის კორიდორის პროექტის ჩათვლით, რომელსაც სჭირდება გაღრმავება და გამოყენება. მაგალითად, ენერგეტიკული გაერთიანების შემთხვევაში, წინასწარი მოლაპარაკებების საფუძველზე, შესაძლებელია გამოიძებნოს კონკრეტული პირობები, რომელიც საქართველოს შესაძლებლობას მისცემს ჰქონდეს

დაშვება სატრანზიტო ნაკადებზე გადაუდებელ სიტუაციებში. ეს ასევე შემაჯობებს გეგმიური გათიშვების რისკს ქვეყანაში.

უსაფრთხოებისთვის ასევე მნიშვნელოვანია საკუთარი წიაღისეული რესურსის წარმოების განვითარება. რასაც შეუძლია ექსპორტზე დამოკიდებულების შემცირება. მნიშვნელოვანია ასევე გაზსაცავის მშენებლობა, რაც ნეგატიური გარე გავლენებისგან თავდაცვის ერთერთი ეფექტური საშუალებაა.

### 3) ინტეგრირებული შინა ენერგეტიკული ბაზარი

სასაზღვრო კავშირების გაძლიერების მიზნით, ევროკავშირმა 200-ზე მეტი საერთო ინტერესის ინფრასტრუქტურული პროექტი შეიმუშავა (PCIs). ეს სასაზღვრო კავშირები ენერჯის თავისუფალი მოძრაობის შესაძლებლობას შექმნის ევროკავშირში რეგულაციებისა და ტექნიკური ბარიერების გარეშე. ევროპის საინვესტიციო ბანკი და სხვა ევროპული ფონდები უკვე მუშაობენ ამ პროექტების განვითარების საშუალებების უზრუნველყოფაზე.

ევროპის შიდა ელექტროენერგეტიკულ ბაზრებზე წვდომა საქართველოს შესაძლებლობას მისცემს განახორციელოს ადგილობრივი დამატებითი განახლებადი ენერჯის ექსპორტი თურქეთის გავლით და ამით მიიღოს მნიშვნელოვანი შემოსავალი. ეს ასევე გაზრდის ინვესტირებას გენერაციისა ობიექტებისა და გადაცემის ქსელების მშენებლობაში. კონკურენტუნარიანი ენერგეტიკული ბაზრის დამკვიდრებისა და სავაჭრო ურთიერთობების გარღმავებისათვის ენერგეტიკული პოლიტიკის დოკუმენტში ჩამოყალიბებულია შემდეგი ღონისძიებები: სავაჭრო და საკანონმდებლო ურთიერთობების გაღრმავება, ძლიერი და გამჭვირვალე ინსტიტუციების დაარსება, მარეგულირებელი ბაზის განმტკიცება, საქართველოს ენერგეტიკული სისტემის დერეგულაციისა და რეგულაციულ ენერგეტიკულ სისტემასთან ტექნიკური სინქრონიზაციის შემდგომი განვითარება.

### 4) რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერება

ენერგეტიკული კავშირის სტრატეგიის მიხედვით, ენერგეტიკული პოლიტიკების შემუშავებისას, წევრმა ქვეყნებმა უნდა მოახდინონ მეზობელ ქვეყნებთან კოორდინაცია და თანამშრომლობა. სოლიდარობა და ნდობა ევროპის ცენტრალური

და სამხრეთ-აღმოსავლური ნაწილების მხრიდან ხელს შეუწყობს ბაზრების უფრო მჭიდრო ინტეგრაციის პროცესის დაჩქარებას, რაც, თავის მხრივ, განამტკიცებს ენერგეტიკული ბაზრების ლიკვიდურობასა და მდგრადობას და შესაძლებელს გახდის სრულად იქნას ათვისებული რეგინში არსებული განახლებადი ენერჯისა და ენერგოეფექტურობის პოტენციალი.

ევროპული კანონდმებლობის დანერგვას, თავის მხრივ, ბევრი სარგებელი აქვს. უპირველესად ეს არის ღია და გამჭვირვალე საბაზრო მექანიზმების დანერგვა, რაც თავისთავად მნიშვნელოვანია ქართული ბაზრისათვის, რადგან ხელს შეუწყობს არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის გახვეწას, ძლიერი და დამოკუდებული მარეგულირებელი ორგანოს ჩამოყალიბებას, არაგამჭვირვალე მემორანდუმების პრაქტიკის გაუქმებას, ბაზრის დემონოპოლიზაციას, ანბანდლინგსა და ჯანსაღ კონკურენციას, ისევე როგორც გამჭვირვალე ტარიფების დაწესებას და ინვესტიციების მოზდვას, ყველა ეს ფაქტორი კი არის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ეკონომიკური განვითარების წინაპირობა.

##### 5) ენერგოეფექტურობა როგორც ენერჯიაზე მთხოვნის შემცირების გზა

ევროკომისია მხარს უჭერს ჭკვიანი ქალაქებისა და გაერთიანებების ინიციატივებს ისევე როგორც მერების შეთანხმებას, რაც ხელს უწყობს ენერგოეფექტურობის დანერგვას როგორც ევროკავშირის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს 8 ქალაქი, სადაც ჯამურად ქვეყნის მოსახლეების ნახევარზე მეტი ცხოვრობს, უკვე მიერთებულია მერების შეთანხმებას.

საქართველოს არ გააჩნია კანონი ენერგოეფექტურობის შესახებ ან რამე რეგულაცია სამშენებლო სექტორთან დაკავშირებით. ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების განხორციელება კი მოითხოვს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის განვითარებას, რაც იქნება წინადადებული ნაბიჯი ქვეყნის ტექნოლოგიური განვითარებისთვის. ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამ უკვე მოახდინა გარკვეული პროცესების სტიმულირება ამ მიმართულებით, დაიწყო ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება (NEEAP) ისევე როგორც შენებების ენერგოეფექტურობის საბაზრო კვლევა (პროექტები დაფინანსებულია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ).

## 6) ევროკავშირის ამბიციური კმილატის პოლიტიკა

2030 წლის კლიმატისა და ენერჯის ჩარჩო ხელშეკრულება განსაზღვრავს, რომ 1990 წელთან შედარებით, ევროკავშირში სათბური გაზების ემისია უნდა შემცირდეს 40%-ით. ევროპის კლიმატის პოლიტიკის ქვაკუთხედი კარგად დაფინანსებული ემისიებით ვაჭრობის სისტემაა<sup>8</sup>.

საქართველოს აქვს ჰიდრორესურსების დიდი პოტენციალი, რომელიც შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს მზის და ქარის სისტემების ინტეგრაციით. ეს პოტენციალი მნიშვნელოვნად აღემატება ქვეყნის შიდა საჭიროებებს და შესაძლებელია ჩაანაცვლოს სხვა ქვეყნის ემისიები, ევროკავშირის ქვეყნების ჩათვლით. კლიმატთან დაკავშირებული პრობლემების გათვალისწინებით, ეს შესაძლებლობა არ უნდა იქნას დაკარგული. მნიშვნელოვანია, რომ შემუშავდეს ადეკვატური მწვანე სერტიფიკატების სისტემა, რაც შესაძლებლობას მისცემს საქართველოს განავითაროს და გამოიყენოს არსებული განახლებადი ენერჯის პოტენციალი და ასევე დაეხმარება ევროპას შეასრულოს კლიმატთან დაკავშირებული მიზნები.

## 7) ნომერი პირველი განახლებადი ენერჯიებში.

ევროკავშირს მკაცრად აქვს გადაწყვეტილი გახდეს ლიდერი მსოფლიოში განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენების კუთხით. გეგმის მიხედვით, 2030 წლისათვის განახლებადი ენერჯის წილი მოხმარებულ ენერჯიაში უნდა იყოს 27%. ეს შიძლება სასარგებლო იყოს ჰიდრო რესურსებით მდიდარი საქართველოსათვის. ევროპული ინვესტიციების მოზიდვა საქართველოში განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარებისთვის და შესაბამისი ტექნოლოგიების დანერგვა არის ის საერთო წერტილი რომელიც საქართველოს აქვს ევროკავშირის ახალ ინიციატივასთან.

## 8) ენერჯეტიკული კავშირის კვლევების, ინოვაციებისა და შეჯიბრებითობისათვის.

იმისათვის, რომ გახდეს ლიდერი განახლებადი ენერჯის წარმოების კუთხით, ევროკავშირს სჭირდება ითანამშრომლოს პარტნიორებთან ახალი ტექნოლოგიების შემუშავებისა და განვითარების კუთხით. Horizon 2020 რომელიც არის ევროკავშირის ყველაზე დიდი კვლევებისა და ინოვაციების პროგრამა 80 მილიარდი დოლარის

<sup>8</sup> [http://www.eumayors.eu/news\\_en.html?id\\_news=594](http://www.eumayors.eu/news_en.html?id_news=594) 25 September, 2014

ბიუჯეტით, 7 წელია მოქმედებს და აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრ ქვეყნებს აძლევს შესაძლებლობას ჩაერთონ ამ პროგრამაში ევროპულ პარტნიორობთან ერთად.

ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარება სასიცოცხლოდ აუცილებელია იმ ქვეყნებისათვის, რომელთაც სურთ ეკონომიკური გაძლიერება. ევროპულ პარტნიორობთან თანამშრომლობა კვლევებისა და ინოვაციების საკითხში შესაძლებელია მნიშვნელოვანი სარგებლის მომტანი იყოს ქართული ეკონომიკისა და მეცნიერებისათვის.

საქართველო რჩება დემოკრატიული განვითარებისა და ევროპული ინტეგრაციის ერთგული. ევროკავშირთან ურთიერთობის გაღრმავების მიზნით, საქართველომ ხელი მოაწერა ასოცირების შესახებ შეთანხმებასა და ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ (DCFTA) შეთანხმებას 2014 წლის ივლისში. ეს შეთანხმება არის ჩარჩო ახალი ურთიერთობებისათვის რომელიც ემყარება პოლიტიკურ ასოცირებას და ეკონომიკურ ინტეგრაციას. ასოცირების ხელშეკრულების მხიედვით, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ენერგეტიკული ურთიერთთანამშრომლობა უნდა ემყარებოდეს პარტნიორობის, ორმხრივი ინტერესისა და გამჭვირვალობის პრინციპებს და მიზნად უნდა ისახავდეს ბაზრის ინტეგრაციას და უსაფრთხო, სუფთა და ხელმისაწვდომი ენერჯის არსებობას<sup>9</sup>.

ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების განხორციელებისათვის რეკომენდებულია ენერგეტიკული გაერთიანების წევრობა. ენერგეტიკული კავშირი საქართველს ენერგეტიკული გაერთიანების წევრობას განიხილავს როგორც მნიშვნელოვან წინაპირობას სტრატეგიული სატრანზიტო პროექტების განხორციელებისათვის. საქართველო ენერგეტიკული გაერთიანების წევრობაზე მოლაპარაკებებს 2014 წლიდან აწარმოებს, მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლობის მიხედვით, საქართველოს გაერთიანების სრულფასოვანი წევრი 2016 წლის სექტემბერში გახდება.

---

<sup>9</sup> Association Agreement, Title VI: Other Cooperation Policies - [http://eeas.europa.eu/georgia/assoagreement/pdf/ge-aa-title-vi-other-cooperation-policies\\_en.pdf](http://eeas.europa.eu/georgia/assoagreement/pdf/ge-aa-title-vi-other-cooperation-policies_en.pdf)

## დასკვნები

საქართველოს დემოკრატიული განვითარებისკენ და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისკენ სწრაფვის გამოხატულება იყო ქართველი ხალხის გადაწყვეტილება ასოცირების ხელშეკრულებაზე რომელსაც ხელი 2014 წელს მოეწერა. საქართველო ევროკავშირის სტრატეგიული პარტნიორია და შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს კასპიის ზღვის და ცენტრალური აზიის ბუნებრივი რესურსების ევროპისკენ ტრანზიტის კუთხით. ევროკავშირისა და საქართველოს ენერგეტიკულ ინტერესებს შორის მნიშვნელოვანი სინერგიაა. იმ დროს, როდესაც ენერგეტიკული წყაროების დივერსიფიკაცია და შიდა რესურსების ეფექტურად ათვისება ქვეყნის ენერგეტიკული პრიორიტეტებია, ევროპული კანონმდებლობის ჰარმონიზაციით და ევროპული ენერგეტიკული ბაზრის პრინციპების გადმოღებით, საქართველოს შეუძლია გააძლიეროს მისი რეგიონალური როლი, როგორც ტრანზიტორი ქვეყნისა. ევროკავშირის მიერ შეიმუშავებული ახალი ენერგეტიკული სტრატეგია ახლოს მოდის საქართველოს ენერგეტიკულ პრიორიტეტებთან.

- საქართველო დგას ძალიან სერიოზული ენერგეტიკული უსაფრთხოების საფრთხეების წინაშე, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს მის მისწრაფებებს დემოკრატიული განვითარებისკენ და ევროპული ინტეგრაციისკენ. საფრთხეების ნაწილი მომდინარეობს რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიებიდან, სადაც მნიშვნელოვანი სტრატეგიული ინფრასტრუქტურაა განლაგებული და, ასევე, რუსეთის რბილი ძალისაგან, რომელიც ვლინდება რუსული აქტივების კონცენტრაციით საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში.
- საქართველოს უჭირს სტრატეგიული ენერგეტიკული აქტივების კონტროლი და, შესაბამისად, რთულდება ენერგეტიკული უსაფრთხოების განტმკიცება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ენერგეტიკულ აქტივებზე გარეგანი ფლობის პირობებში, იქმნება პოლიტიკოსებზე ზეწოლის მოხდენის საფრთხე, მითუმეტეს, როდესაც არ არსებობს გამართული კანონმდებლობა და კონტროლის მექანიზმები, რომელიც დაარეგულირებდა მხარეებს შორის ურთიერთობის ჩარჩოებს და გამორიცხავდა ინდივიდუალური გადაწყვეტილებების მიღებას.
- ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხს კიდევ უფრო ამწვავებს ძლიერი დამოკიდებულება გარე რესურსების იმპორტზე ზამთრის პერიოდში(გაზი და ნავთობი აზერბაიჯანიდან და ელექტროენერგია და გაზი რუსეთიდან).

- ამავე დროს, საქართველოს აქვს კარგი შესაძლებლობა სამხრეთ კავკასიის კორიდორის განხორციელებაში ჩართულობით, დაეხმაროს ევროკავშირს და გააძლიეროს ენერგეტიკული უსაფრთხოება განახლებადი ენერგეტიკული რესურსების ათვისებით.
- საკუთარი წიაღისეული საწვავის წარმოების განვითარება და გაზის საცავის აშენება ასევე ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებია, რომლებიც ხელს შეუწყობს საქართველოს მეტ დამოუკიდებლობას და უფრო სანდო პარტნიორად ჩამოყალიბებას.
- Horizon 2020 და მსგავს პროგრამებში მონაწილეობა, რომლებიც ეხება ინოვაციებს და ტექნოლოგიურ განვითარება აუცილებელია საქართველოსთვის

## რეკომენდაციები

1. ხელისუფლებისთვის ძალიან მნიშვნელოვან საკითხად უნდა იქცეს საგანგებო სიტუაციების სამოქმედო გეგმების შემუშავება და განხორციელება კრიტიკული ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის დაზიანების დროს. ენგურჰესის საკითხი საერთაშორისო განხილვის საგნად უნდა იქცეს, რადგან ელექტროენერჯის მოწოდების შეფერხება სერიოზულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ არასტაბილურობას გამოიწვევს რაც, რა თქმა უნდა, საფრთხეს უქმნის ქვეყნის დამოუკიდებლობასა და სახელმწიფოებრიობას.
2. საქართველომ უნდა გააძლიეროს ინფორმაციის გაცვლა და კომუნიკაცია ევრო-ატლანტიკურ ორგანიზაციებთან რუსეთის მიერ ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაციაზე და მისი მზარდ გავლენაზე რეგიონში.
3. საქართველომ უნდა გააძლიეროს თანამშრომლობა ევროპულ პარტნიორებთან, აშშ-სთან და მეზობელ ქვეყნებთან რათა უზრუნველყოს ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის დაცულობა ფიზიკური და კიბერ-ტერორისტული აქტებისგან. ინფორმაციის გაცვლის ინტენსივობის გაზრდა, მათ შორის ნატოსთან ურთიერთობის ფორმატებში, წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ამ კუთხით.
4. ენერგეტიკულ გაერთიანებასთან დროში გაწელილი მოლაპარაკებების დასრულება აუცილებელია. საქართველო უნდა გახდეს გაერთიანების წევრი, რათა ეფექტურად მოახდნოს ევროპული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია. ევროპული კანონმდებლობის პრინციპების სწრაფი იმპლემენტაცია ხელს

შეუწყობს ენერგეტიკული სექტორის განვითარებას და მოხსნის მნიშვნელოვან რისკებს

5. საქართველომ უნდა განავითაროს შიდა ენერგეტიკული რესურსები, შექმნას გაზის და ნავთობის საცავები, განავითაროს ენერგეფექტური პოლიტიკის სტრატეგია, მოახდინოს ენერგეტიკული წყაროების დივერსიფიკაცია და ხელი შეუწყოს რეგიონში პოლიტიკური სტაბილურობის დამკვიდრებას.
6. უნდა შეიქმნას სხვადასხვა დამაცავი საშუალება, რათა ხელი შეეშალოს რუსეთის გავლენის გაძლიერებას ენერგეტიკულ სექტორში. ენერგო-პროს გასხვისების შემთხვევაში აუცილებელია სტრატეგიული ინვესტორის შემოყვანა.
7. ხელი უნდა შეეწყოს შიდა ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის და სტრატეგიული სასაზღვრო ქსელის განვითარებას. უნდა გაძლიერდეს რეგიონალური ენერგეტიკული ბაზრის განვითარება და მხარდაჭერა.
8. საქართველომ უნდა მოამზადოს კლიმატური ცვლილების მიტიგაციისა და ადაპტაციის გეგმები. რეგიონალური თანამშრომლობა სარგებლიანი იქნება შემდეგი მიმართულებებით - ადრეული შეტყობინების სისტემები ბუნებრივი კატასტროფების დროს, სეზონური პროგნოზირება და ა.შ.
9. სამოქალაქო საზოგადოების როლი ძალიან მნიშვნელოვანია ტრანსფორმაციის პროცესში. საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ ყურადღება და ჩართულობა პროცესში და მეტი ვალდებულება აიღონ ევროპული გაერთიანებაში გაწევრების პროცესისას, რაც მოიცავს საზოგადოებისთვის ევროპული გაერთიანების საქართველოს წევრობით მიღებული სარგებლის და გასატარებელი რეფორმების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და ადვოკატირებას.
10. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და ანალიტიკური და საგანმანათლებლო ცენტრები უფრო აქტიურად უნდა ჩაერთონ Horizon 2020 და სხვა R&D პროგრამებში.